კლდე

№ 39

1 ქრისტიშობ. 1913 წ.

მიიღება ხელის მოწერა

წლიური ფასი

3 მან.

წლის დამლევამდე 50 კ.

ცალკე ნომერი 5 კაპ.

ყოველ კვირეული საზოგადო-ეკონო-
ჟიური და სალიტერატურო ჟურნალი

წელიწადი მეორე

რედაქცია ღიაა 10—1 საათ.

მისამართი: თბილისი, Габаевскій пер. № 3 რედაქცია ,,კლდე''. დეპეშისა: თბილისი კლდე.

სარჩევი:

1. ისტორიული რეზოლუცია.
2. რა გვმართებს. — . . **რ. გ—ესი.**
3. მოდვაწენი. — . . . **იპ. ვართაგავასი.**
4. სიკვდილის წინ. — **გ. ნამორაძისა.**
5. ესთეტიური კულტურა. — . . . . **ახალმოსულისა.**
6. ვინმე კალმოსანს. — **რ. გაბაშვილისა.**
7. მეფის მოადგილის რეზოლიუცია ჰოლიტეხნიკუმის შესახებ.
8. უკანასკნელი ამბები.
9. ძველი სენი—. . **ნარისა.**
10. ქართ. წიგნებით ვაჭრობა. — . . . **ნარგიზისა.**
11. ჰატარა ფელეტონი. — . . . . **გორელისა.**
12. ადამიანი და ცა. — **გ. ნ—ისა.**
13. გამარჯუებული. —. **მწიგნობარისა.**
14. ნარევი.

ისტორიული რეზოლუცია

27 გიორგობისთვე ჟეშმარიტად ისტორიული დღეა. ამ დღეს გამოქვეყნდა მეფის მოადგილის რეზოლუცია თბილისის პოლიტეხნიკუმის შესახებ. თვით შინაარსი რეზოლუციისა ფრიად სადაა და მისი გაგება დიდი თავის მტვრევას არ გამოიწვევს. მეფის მოადგილე მიემხრო ნავთლუღს და ამიერიდგან თბილისი, აშკარაა, ,,იძულებული'' იქმნება განვითარდეს ნავთლუღის მხარეს. ვამბობთ— ,,იძულებული'', რადგან კომისიის მოხსენება, რომელსაც დაემყარა უმთავრესად მეფის მოადგილე, იმ აზრისა არის, რომ თბილისის განვითარება ნავთლუღისკენ ყოველად შეუძლებელია. რეზოლუციიდან ნათლად სჩანს, რამ მისცა ვითომდა საბაბი მეფის მოადგილეს, რომ მან ნავთლუღი არჩია საბურთალოს. ეს გახლავთ ფინანსიური მხარე საკითხისა, რომლის ძალითაც პოლიტეხნიკუმის ნავთლუღში აშენება შედარებით იაფი ჯღება, ვიდრე საბურთალოზედ. სხვა დანარჩენი უპირატესობა საბურთალოსი ცნობილია თვით კომისის მიერ. მაგრამ საკითხის გადაწყვეტის დროს მნიშვნელობა, ჩვენის აზრით, სწორედ ფინანსიურ ანგარიშებს არ უნდა მისცემოდა. პოლიტეხნიკუმის საკითხში, როგორც ყოველ საალმშენებლო საქმეში, ფინანსიური ანგარიში **გარდამავალი** ელემენტია: საკმაოა პოლიტეხნიკუმი ნავთლუღში აშენდეს და ფინანსიური უპირატესობა ნავთლუღის ვარიანტისა სამუდამოდ იკარგება. იბადება საკითხი: სხვა რომელი უპირატესობა **შერჩება** მაშინ ნავთლუღის პოლიტეხნიკუმს? კომისია ფიქრობს, რომ **არც ერთი!** თუ მართლა ასეა, და თუ მართლა საბურთა-

ლოს ვარიანტს არ ჰქონდა ის ფინანსიური უპირატესობა, რომელიც აქვს ნავთლუღს, მაშინ მეფის მოადგილე უნდა სცდილიყო მოეწყო სწორედ ფინანსიური უპირატესობა საბურთალოსი. სულ რამდენიმე დღის წინად რუსეთის ერთ ერთ გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლმა ორ მილიონ ნახევარი მანეთი გამოითხოვა უნივერსიტეტის ასაშენებლად. თუ მეფის მოადგილე მართლა დაინტერესებული იყო პოლიტეხნიკუმის ბედით, ისიც ასე უნდა მოქცეულიყო. ჩვენ არა გვგონია რუსეთის სახელმწიფო ხაზინა ისე გულგრილად მოექცეოდა კავკასიის პოლიტეხნიკუმს, რომელიც რუსულ სახელმწიფო საქმისთვის შენდება. ექვსასი ათასი მანეთის გაღება ხაზინისთვის დიდ ხარჯს არ შეადგენს და დარწმუნებული ვართ ცენტრალური მთავრობა უარს არ ეტყოდა მეფის მოადგილის ამ ფულის გაღებაზედ, თუ კი საკითხი ასე იქნებოდა დაყენებული. მაგრამ მეფის მოადგილე ასე არ მოიქცა, ხაზინის ექვსასი ათასი მანეთი თავის საკუთარ ასი ათასს მანეთს ანაცვალა, ამ უკანასკნელ გარემოებით ხელი დაიბანა და სასწორი სამართლიანობისა ნავთლუღისკენ გადახარა, რომელსაც, ერთად-ერთ და ისიც პრობლემატიურ უპირატესობისათვის, სხვა აურაცხელი არა უპირატესობანი აპატია.

აი რის თქმა შეგვიძლიან ამ ჟამად რეზოლუციის არსებით მხარეზედ.

მაგრამ ამასთანავე არ შეგვიძლიან არ გამოვსთქვათ ჩვენი აზრი იმ ფორმის შესახებაც, რომელშიაც გამოისახა რეზოლუცია. ვკითხულობდით ამ რეზოლუციას და ჩვენ განცვიფრებას საზღვარი არა ჰქონდა. რას ნიშნავს ესა? 27 გიორგობისთვეს მეფის მოადგილე სახელმწიფო მნიშვნელობის საბუთს აწერდა ხელსა, თუ პოლემიკურ ხასიათის სტატიას? რად დასჭირდა სახელმწიფო გამოცდილებით დაბრძნილ ადმინისტრატორს ისტორიულ საბუთში გენერალ გაბაშვილის სახელის მოყვანა, რომელმაც თავისი აზრი ღრმა რწმენისა და სინიდისის მიხედვით გამოსთქვა. ეს ჩვენ შეცდომად მიგვაჩნია, თუმცა ამ შეცდომის მადლობელნი უნდა ვიყვნეთ, რაკი მან ბევრი რამ გვამხილა. მეფის მოადგილის რეზოლუცია სწორედ ამ გარემოებით იღებს ტენდენციის ხასიათს და მისი ახსნა სხვაფრივ ყოვლად შეუძლებელი. ეჭვი არ არის, ეს რეზოლუცია მთელ რუსეთს მოეფინება, ხოლო რაც შეეხება კავკასიას, არავინ დაივიწყებს მას, ვიდრე პოლიტეხნიკუმი ნავთლუღში იდგება და ვიდრე ნავთლუღში ქარნი იქროლებენ.

რა გვმართებს

ტერიტორიალურ საკითხის გარშემო იმდენი აზრი შემოტრიალდა, იმდენი ითქვა, იმდენი დაიწერა, რომ მისი კიდევ ხელახლად აწონ-დაწონვა, მგონი, უსარგებლო საქმედ ღა უნდა ჩაითვალოს. ყველამ შეიგნო, ვგონებთ, რომ სამშობლო განსაცდელშია, მას უდიდესი საფრთხე მოელის - დაკარგვა ტერიტორიისა, რაც ყველაფრის დაკარგვაზედ უაღრესია, სიცოცხლის მოსურნე ერისათვის. ცალკე პირს შეუძლიან დაჰკარგოს მიწა, როგორც სხვა საკუთრებაც, მაგრამ მაინც ადამიანად დარჩეს, მაგრამ ერს, როგორც ეკონომიურს, კულტურულს და პოლიტიკურს ერთეულს, ტირიტორიის დაკარგვა აცლის ისეთს გვერდს, ისეთს მხარეს, შემადგენელს თვით ცნება „ერის" შინაარსისას, რომ ერი გარდიქმნება ბოგანო კონგლომერატად, რომლის ინტერესები ცხოვრების მეჯლისში მუდამ გათელილი იქნება. კერძო ადამიანს უფლება აქვს საკუთრება გაჰყიდოს, გადააგდოს, გაუბოძოს, და იმის სამაგიერო სხვაგან და სხვა დროს შეიძინოს, მაგრამ ერს არამც თუ ამის უფლება, ამის ფიზიკური შეძლებაც არა აქვს, რადგან **ჩვენს შემთხვევაში** ის, რაც წაგვივა ხელიდან, ვეღარაფრით აგვინაზღაურდება ვერც ახლო და ვერც შორეულ მომავალში.

როცა ეროვნული ორგანიზმი დაავადებულია, ყველა ჭია-ღუაც კი მეტს ზიანს მოუტანს, ვიდრე ორბი და არწივი, რადგან არწივნი ჰგლეჯენ ძლიერად, მაგრამ ერთხელ, ჭიაღუათ კი თვლა არა აქვთ და გამუდმებით ხრწნიან სხეულს იქაც, საცა თითქმის თვალითაც არა სჩანს. ეს, ზოგჯერ უჩინარი მტრები, ბევრად უფრო სავალალონი არიან. ქართველი ადამიანის გონება თითქმის არას დროს არა ჩერდება წვრილმანებზედ და მარტო იქ მოჰყვება ბღაკილს, როცა შაშრით შიგ გულიდან ამოათლიან ნაჭერს... როგორც აშურიანი, კეზელის მამული და სხვა; მაშინ როდესაც უაღრესი მნიშვნელობა ეძლევა ყოველდღიურს, წვრილმალს; მუდმივს ჩამოდნობას, ჩამოცაცქნას სამშობლო მიწისას.

მაშინაც კი, როცა უხეში ძალა, ან გაიძვერა პოლიტიკა, ან ფულის ღმერთი გამოგვტაცებს სისხლიან ნაჭერს ღა გემრიელ წვადებს აიგებს, ჩვენ მხოლოდ ვყვირით დაჭრილებივით, ვილანძღებით, გულში კიდეც ვსტირით იქნებ, მაგრამ ხელს კი არ ვანძრევთ, რომ საშველი გამოვნახოთ; რით უშ-

ველოთ ჩვენს ჭრილობას, რით დავიფაროთ სხეული იმ აფთარ ცხოვრებისაგან, რომელიც დღე-მუდამ სისხლიდანა გვცლის. ჩვენს სახლშივე ჩვენ მტერთა ბანაკში ვართ და თითქო საზოგადოებას ალღო ვერ აუღია ამისი, თითქო დაჰკარგვია უნარი შემეცნებისა და გრძნობათ აჰყოლია მარტო; ისიც გრძნობათ არა თავმოყვარეობის, გამბედაობის და ძალის, არამედ გრძნობას ვაი-ვიშისას, ქალურ ლანძღვისას, ტირილისას და ლაჩრობისას. სწორედ ეხლაა საჭირო მოკრება ძალთა, მოკრება ეროვნულ **გონებისა**, იმ საშუალებათა გამოსანახავად, რომელნიც გვიხსნიდნენ ჭირისაგან ამისა.

რა საშუალებანი შეგვიძლიან გამოვნახოთ ამისათვის? პათეტიური მიმართვა საზოგადოებისადმი ფონდის შესაგროვებლად? გალანძღვა და სამარცხვინო ბოძზედ გაკვრა იმ პირთა, რომელნიც ჰყიდიან მამულს, ან იმ ერთა და დაწესებულებათა, რომელნიც ძალით თუ ფულით გვგლეჯენ სახსრებსა? წერა გაზეთებში და ჟურნალებში ჩვენი ვაისა და სივაგლახისა? ყველა ეს ბრძოლაა უქმი, ბრძოლა ულირსი და უშედეგო. კაცთმოყვარეობა და პატიოსნების ღაღადისიც აღარავის უკარგავს, ძილსაც კი, არამცთუ იშტას სხვისი მამულის შეჭმისას.

ეხლა სხვა გზები, რეალური უნდა გამოინახოს იმის საშველად, რაც დღე გვადგია. უნდა ვიზრუნოთ ისეთ ორგანიზაციების შექმნისათვის, რომელნიც გაუძღვებოდნენ განსაკუთრებით ამ მძიმე და საშვილი-შვილო საქმეს.

რ. გ.

ჩვენი „მოღვაწენი“

(დახასიათება)

„Мы всѣ глядимъ въ Наполеоны“...

I

ნამდვილი ნიჭი, ჭეშმარიტი და უანგარო მომქმედი ყოველთვის და ყოველგან თავდაბალი და უპრეტენზიოა: მას აინტერესებს მხოლოდ საქმიანობა, მუშაობა, მისწრაფებათა განხორციელება, სიტყვის საქმით გადაქცევა, იდეიური გამარჯვება, სიმართლის ქომაგობა და არა ქებათა-ქება, ტაში მაყურებელთა და მსმენელთა, თუმცა ტკბილი, მაგრამ ხშირად მაცდური და ანგარებიანი, ღიმილი. ასეთი ნიჭი საზოგადო ასპარეზს, საზოგადო მოღვაწეობას და თანამემამულეთა სიმპატიას საშვალებად კი არ ხმარობს, რომ მათი წყალობით პირად მიზანს მიაღწიოს, თბილს ადგილზე მოკალათდეს, მდიდარი საუნჯის გასაღები ჯიბეში ჰქონდეს და, ამ გვარად გაბატონებული და გულზვიადი, პატარა პადი შაჰად გახდეს, ალექსანდრე მაკედონელს დაედაროს, ნაპოლეონის მეტოქედ წარმოიდგინოს თავი.—

სულ სხვას წარმოადგენს **ყალბი**, ცრუ და თვალთმაქცი, ვითომცდა, მოღვაწე. საქმის ჭეშმარიტი ვითარება, იდეური მოქმედება, უანგარო შრომა და ჯაფა, ჭეშმარიტების გულმართლად და სინიდისიერად კვლევა-ძიება, ბოროტებასთან შეუდრეკელი და ვაჟკაცური ბრძოლა მას არ აინტერესებს, არ იზიდავს და არც კი შეუძლია. მოურიდებლობა, სითამამე, ხელოვნურად შექმნილი ენა-წყლიანობა, მსჯელობის პარადოქსალობა, აზროვნობის რიგორისტობა, გრძნობათა გაზვიადებული გამოაშკარავება და—ყოველივე ამასთან – თვალის მომჭრელი, აფერადებული დროშა მამულისშვილობისა—აი ფარხმალი და უაღრესი საშვალება ასეთის ვაჟბატონების საპატიო სავარძელზე წამოსკუპებისა და „საზოგადო მოღვაწედ“ გახდომისა!

ასე არის ყველგან, ასეა ჩვენშიაც... მაგრამ ჩვენში უფრო ცხადად, უფრო ტლანქად, უფრო გაშიშვლებულად. ვინ არ იცნობს ქართველ „მოღვაწის“ „უკვდავ“ ტიპს?

„შინა ყმებისაგან“ გამეცნიერებული, მყვირალა ამხანაგებისაგან და „ძმაბიჭებისაგან“ დემოსფენად მიმჩნეული, უსაქმო და უილაჯო ინტელიგენტებისაგან ენერგიულ პიროვნებად აღიარებული, გადაგვარებული, „მომხიარულე“ ქართველ მანდილოსნებთან შემტკბარ—შეალერსებული; ერთის სიტყვით, ჩვენს „საზოგადოებაში“ გამოსული და ცნობილი,—ეს ვაჟბატონი, მართლაც, რამოდენიმე ხნით იქცევს საყოველთაო ყურადღებას, იღებს თანამოაზრებისაგან დიპლომს უბადლო ნიჭიერებისას და მამულის შვილობისას.

მერე იგივე „ხმა ერისა“ (?) დიდის ზეიმით და დოლ დუდუკის დაკვრით ასკუპებს მას საზოგადო საქმის რომელიმე საპატიო სავარძელზე. რამოდენიმე ხანს ჩვენი „გასაზოგადოებრივებული“ ტ სავარძელზე გემრიელად მოკალათებული მოღვაწე, კიდევ ფართი-ფურთობს, სიტყვის მაშხალებს ისვრის, ენა-წყლიანობს და თავის ძმა-ბიჭებთა, შინა-ყმათა და მაღმერთებელთა სმენას ფრაზათა ჰარმონიით ატკბობს...

მაგრამ მერე თანდათან, რამდენიც დრო და

ჟამი გადის, ის უფრო მკვიდრად იკალათებს სავარძელში და იმის ოცნებაშია, როგორმე გაიმაგროს პოზიცია, ხელუხლებელ ჰყოს თვისი ტახტი. ამისათვის კი საჭიროა ერთგვარი ტაქტიკა: ის მუდამ კარგს განწყობილებაშია საზოგადოების იმ ნაწილებთან, ტ ელემენტებთან, რომელნიც ჰქმნიან და ასაზრდოებენ ენით, თუ კალმით, საზოგადოებრივ შეხედულობას; თავის სამფლობელოში თავს უყრის თანამოაზრეებს და შინაყმეებს,— მომეტებულად იმისთანებს, რომლებიც მას ვერავითარ მეტოქებას ვერ გაუწევენ.

ნიჭიერს, დამოუკიდებელს, ენერგიის პატრონს, ე.ი.ისეთს პირს,რომელსაც შეუძლია თვისი მოქმედებით საერთო სიყვარული,ؚ ნდობა — სიმპატია დაიმსახუროს, მაშასადამე ჩვენს „მოღვაწეს“ უნებლიედ მეტოქება გაუწიოს, ის თავის სიახლოვეს არ აკარებს: სიტყვით და საქმით, ჩუმად და აშკარად „მოღვაწე‘‘ ვნებს ასეთს პირებს, ნდობას უკარგავს, სასაცილოდ იგდებს, ნევრებს უშლის არჩევნების დროს, საზოგადო კრებებზე, პრესაში, მომეტებულად კი მალულად, ფარულად, შინაურობაში. ამ ნაირად ჩვენი ,,მოღვაწე‘‘ იმის ნაცვლად, რომ საზოგადო ეროვნულ საქმეს პირნათლად გაუძღვეს, მას მოახმაროს თვისი ენერგია და ძალ-ღონე, პირად ბრძოლას, კინკლაობას, მოპირდაპირეს დამცირებას, ახალგაზდების დჩაგვრას ანდომებს.

ამავე დროს მას მიაჩნია თავი უცოდველ პაპად, უებარი მამლლის შვილად, უანგარო მოღვაწედ, შორს მჭვრეტელი პოლიტიკოსად, სიმართლის და ჭეშმარიტების მოციქულად, ერთის სიტყვით, საქართველო შუქურ ვარსკვლავად, მისი მხსნელად. ასეთი ტიპები ჩვენში, სამწუხაროდ, სხვა და სხვა ასპარეზზე ხშირად ყოფილან და არიან. მათ კარგად ვიცნობთ... ხანდახან საჭიროა მათი ნესტიან და მურიან სახის გამომზეურება და უნიღაბოდ დანახვა.

იპ. ვართაგავა.

სიკვდილის წინ

ედ-კორრეის ნოველდა.

ჩემს სიცოცხლეში ბევრი ცუდი ჩამოდენია, მაგრამ ეველაზედ უფრო მაწუხებს, რომ კარლოტას ისე მოვექეცი, „როგორც ბატიოსანი კაცი“. აი სწორედ ამაში მდგომარეობს ჩემი უმაღლესი დანაშაული, იმიტომ რომ მე ეს ცოდვა ჩავიდინე არა რომელიმე ადამიანთა კანონის წინააღმდეგ, არამედ ჩემი თავისა და თვით ბუნების წინაშე ვიყავი დამნაშავე.

ამას მე დიდი ხანია ვგრძნობდი, მაგრამ აქამდის კი არა მქონდა ეს შეგნებული და მხოლოდ მაშინ გავიგე, როცა ის ხელახლად ვნახე.

და აი მის შემდეგ ის სულ თვალ-წინ მიდგას,— ვხედავ, როგორ მოუძღურებული ნელა და დაღლილად, თითქოს რაღაც შავი აჩრდილივით, მიდის ცხელი მზის ბრწყინვალე ოქროსფერებულ ეანებში. და ამ გვარივე აჩრდილად ვლის ის ავადმყოფობის სიცხით გახურებულ ჩემს გონებაშიაც.

ამბობენ, ვითომ მე ავად ვიყო. თვალებში ცეცხლი მიკიდია, ხელები ცხელები მაქვს; სიფეთქლები მტკივა. ძალი არ შემიძლიან, წამდა-უწუმ წყურვილი მახრჩობს, თუმცა აგერ ზღვიდგან, რომელიც ჩემს ფანჯარებს იქით მეფურად გადაწვიმულა,გრილი ნიავი მოჭქრის თითქოს ცდილობს გამცოცხლებელ სულში შემახვიოსო.დამეც არა ცხელა მშვენიერ სიგრილოს ჭფენს ირგვლივ, ვარსკვლავებით დამაზად მოკირწყლულა ცა და მთვარის შუქი ნათლად ავერცხლებს ხის მწვანე ფოთლებს..

მხოლოდ ჭრიჭინები თავისი განუზომელი ჭრიჭინით მაწუხებენ.

* * *

დღეს ექიმმა მირჩია სადმე მაღლა მთებში გადამეტანა ბინა. პასუხად მხოლოდ გავუღიმე. იმან რა იცის, რომ მხოლოდ აი აქ, მზის შუქით მოდებულ ეანებთან მინდა ცხოვრება და მახლობელი ჭაობების მომწამლავი ჰაერისა სრულიად არ მეშინიან.

* * *

ჩემმა სიცოცხლემ ახალი სილამაზე ჭეოვა. მოლად ჩემი დარსული სული ეკან დარჩა, დარჩა, სადაც შორს, იქ, დაბლობში. თავისუფალი, როგორც ვეებერთელა ფრთების მქონი ფრინველი, მარტოდ დავფრინავ ამ ნათელს მზით მოფენილს სივრცეში.

სადაც შორს მოსჩანს სატოდავი ქვეყანა. ეს ხალხი თუა? არა ეს მხეცებია, რომლებიც ბორაობენ სიბინძურესა და მტვერში და თითო ლუკმას სტაცებენ ერთმანეთს. ისინი ეტეშიან ერთმანეთს, და მკერდიდგან აგლეჯენ გულს. მაგრამ არამც თუ ლუკმა-პურისთვის იბრძვიან; ისინი გლეჯენ და სტანჯავენ ერთმანეთს სხვა და სხვა სულელურ, ვითომ რაშე ფასისმქონე, მოგონილ რაშეების გამო; და ამ რაშეებს ჭქვიან—ფული, დიდება, პატივი და სხვა მისგვარი. და აქ მაძღრები უფრო შე-

უბრალებელნი არიან, და იმათაც კი არ ინდობენ, რომ-ლებიც შიმშილით იხოტებიან.

ოჰ, რამოდენა ტრემლებს ვხედავ, მთელი მდინა-რეებია!

* * *

დღეს ჩემი ტოლისაგან დეპეშა მივიღე, მოვიდე თუ არაო. უარი შევუთვალე, და ერთი საათის შემდეგ კიდევ ხელმეორედ დაუკარი დეპეშა: ,,თქვენი ნახვა ამის შემდეგ აღარა მსურს, ქალბატონო. ეთვალთვის მეკავ-რებოდით და ეხლა, ამ ბოლო დროს მაინც, მინდა, თქვენგან განვთავისუფლდე.''

მთელს ჩემს სიცოცხლეში ეს პირველადა ვსთქვი მართალი. რა შვება ვიგრძენ! რა სანეტარო გრძნობა თავისუფლებისა განვიცადე! რა ბედნიერება! მე ვამაყობ ჩემის გულადობით.

* * *

დღეს ჩემთან დონგვერინო მოვიდა, რომ ადსარება ეთქმევინებინა. დიდი ხანი ვუტქერადი მისს ფერმკრთალ, კამხდარ სახეს ასკეტისს — და დავრწმუნდი, რომ ,,mia massima colpa'', ჩემი უმძიმესი ცოდო მისთვის გაუგებარი იყო. არა, ის ვერც გაიგებს, ვერც მიხვდება. ეკ-ლესია სულ სხვა სასწორით სწონს სულს, ვინემ ცხოვ-რება. და აგრეც ვუთხარი მას, რომ ეკლესიის წინაშე თავს უცოდველად ვგრძნობ მეთქი... დონ გვერინომ გულზედ ხელები დაიკრიფა და ჩუმად შეეგედრა ღმერთს ჩემთვის. იმახ, ალბად, ისე გაიგო, რომ რამე საუკეთე-რი ამბარტავნობაში მეტად ამაღელვებდა, ვინემ ამას ეტ-ანდა ჩემი დასუსტებული ძალა.

და მხოლოდ, როცა ფერმკრთალი ასკეტი წავიდა, ვიგრძენ, რომ ტკბილად ეოფილა ჩემი საქმე, თუ ეკლესია უკვე შეუდგა ჩემს სულზედ ზრუნვას.

* * *

მერე, იმათ ხომ სწამთ შურის ძიების ღმერთი, რომელიც ამ ტრემლებს ხედავს... და რატომ არ ძრწიან?!.

და ბოროტ აზრების მჩქეფი ნიაღვარი მთლად ჭეინავს ველსა, რომელიც კეთილი გრძნობებით იყო და-თესილი.

* * *

მე დღეს გულის სიმწარით მოშინდა ჩემი სიმალ-ლიდგან ამ საცოდავი ქვეყნებისთვის დამეკვირა რომ-ელიმე დიადი, მშვენიერი, კეთილი სიტყვა, — სიტყვა,

ფელეტონი

ესთეტიური კულტურა

შეფფილდის ახლოს, ინგლისში, სადაც ქარ-ხნების გაჭვარტლული ბუხრის მილები ტყესავით გაშეშებულან, სადაც აურაცხელი უშნო შენო-ბებია ქარხანა-ფაბრიკებისა, და სადაც მცხოვრებნი მუდმივ მუშაობასა და კომლში მყოფი გამხდარ-ჩა-მოყვითლებულან, იქ სდგას ერთი კოხტა, მშვენიე-რი განსაკუთრებული თავისი დანიშნულებით დაწე-სებულება. ეს არის — რიოსკინის მუზეუმი.

მუზეუმი მუშათათვის. სწორედ იმ მუშების-თვის, რომლების ცხოვრებაც ასე უფერულია, ულა-მაზო, ღარიბი.

სადა სცალიან მუშას სილამაზისთვის? განა შეუძლიანთ მათ მთელი დღის ჯოჯოხეთური შრომის შემდეგ წავიდნენ და დასტკბნენ ხელოვ-ნების დიადი ნაწარმოებებით? დიახ, იმათ, — უპა-სუხებს დიდებული იდეალისტი, დიდებული მოცი-ქული სილამაზისა, — სწორედ იმათ და სწორედ იმი-ტომ, რომ მათი ცხოვრება ასე ულაზათო და ულა-მაზოა. და რაც უფრო მძიმე, უფრო ულამაზოა მათი ცხოვრება, მით მომეტებული მუყაითობით უნდა ვაღვიძებდეთ ოცნებას უკვდავსა და მშვენიე-რობაზედ, რაც უფრო დაბალ საფეხურზედ დგას მათი სულიერი მდგომარეობა, მით უფრო ენერგი-ული უნდა იყოს ჩვენი მეცადინეობა, რომ გავაღ-ვიძოთ მათში ნამდვილი ადამიანი, თავისუფალი, სიცოცხლით სავსე, გონიერი, ნაზ-მგრძნობარე, ლა-მაზი. აღვიძეთ მძინარნი, აღვიძეთ მკვდარნი, იმათ ძალუძთ გაიღვიძონ დიდებულ სამეჯლისოდ, რო-მელიც ხელოვნების მდიდარ სუფრასთან ხდება, — მოუწოდებდა უდიდესი ესთეტი მსოფლიოსი, და აასრულა კიდეც თავისი ოცნება.

ოცნება რეალურ სინამდვილედ გადაიქცა. თა-ნამედროვე საფაბრიკო ქალაქის სიმახინჯის გაკხა-ნალიიდგან სულ რამდენიმე ნაბიჯით დაშორებული, იმ მანძილზედ, რომელიც ძლივას ჰყოფნის, რომ ქარხნის სირინოზთა ღრიალი არ მიდიოდეს, იქ, ცვიოდეს მილებიდგან ამონადენი ჭვარტლი — სდგას რიოსკინის მუზეთა თავ-მესაფარი. თუმცა პატარა მოკრძალებით, მაგრამ იდეით კი დიადი...

,,რიოსკინს, — ამბობს რიხარდ მუტერი, — არ

რომელიც მათ ცხოვრებას განსთლებდა.

მაგრამ ამ გვარი სიტყვა ვერა ვპოვე. არც ერთი იმ სიტყვათაგანი, რომლებიც ვიცი, არ არის იმდენად ძლიერი, რომ დანელოს იქ ავარღნილი ბოროტი ბრძოლის ადი. არც ერთი ჩემი ნაცნობი სიტყვა ვერ იჩენს იმდენს სიმართლის ძალას, რომ გაბრწყინოს ირგვლივ გამეფებული უგუნურობის სიბნელე.

საბრალო კატობრიობა! მერე რა სიმაღლემდის შეეძლო მიეღწია იმას, თავისი თავი რომ ეცნო!

* * *

მაგრამ ჯგუის მსწავლებლების საჯიროა მოვთხოვოთ, რომ იმათ თავისი თავიდგან დაიწყონ,—იქიდგან, რომ განწმინდონ და განსთლონ თავისი საკუთარი ცხოვრება.

ჩემი ცხოვრების განწმენდა იყო ის, რომ ის ქალბატონი გამოვრიცხე იქიდგან.

როდესაც სრულიად გავსადები, ისევ სასახლეს დავუბრუნდები. და მაშინ ძვირად დამისვამენ ამ ჩემი ცვოვრების განწმენდას. რა ვუყოთ, დაე, მე აურ-ზაურისა არ მეშინიან. ვინც აღვიდა იმ სიმაღლეზედ, რომ თავის თავს ყველაზედ მაღლა გრძნობს,—ვისაც ასე ფართო ფრთები შეესხა,—იმას არაფრისაც არ ეშინიან, არაფრის,—თვით მეფის მრისხანებისაც კი.

მეფეც ხომ მხოლოდ კაცია, განუთავისუფლებელი მონა თავისი გვირგვინისა, ნებით ხალხისათა... „per la volontá del popolo“.

* * *

როგორ განვანათლო ჩემი სიცოცხლე? ამ უკანასკნელს დღეებში ძალიან სუსტად ვიყავი, რომ საამისოდ რამე მომექმედნა, მაგრამ მე არ ვუჩიოდი ამას და ჩემი მსახურების ეოველ დანაშაულს ჩუმად ვიტანდი. საშინლად ცხელა.

ბევრსა ვფიქრობდი კარლოტტაზედა. როგორც კი უკვე შეეიქმნები, მასთან გავგზავნი დასაძახად.

* * *

ხვალ მოვა ის.

* * *

დღეს კარლოტტა ჩემსა იყო. ვიმეღოვნებ, ხვალ იმდენად მოვკეთდე, რომ ეველაფრის ჩაწერვა შეეძლო.

* * *

ჩემი მოურავი თუმცა დიდი წინააღმდეგი გამიხდა, მაგრამ მე მაინც ვუბრძანე მოლად ჩემი loggia ავვა-

---

შეეძლო წარმოედგინა სილამაზის სადგომი ისე, თუ არ ქალწულებრივ, მრეწველობით ჯერ შეუმწიკვლელ ბუნების სავანში.

აი თქვენ მიდიხართ ელექტრონის ტრამვაით შორს ქალაქს გარედ, შემდეგ ფეხით კიდევ რამოდენიმე მანძილს გაივლით, სანამ არ მიხვალთ მერსბრუკ-პარკამდე, გორაკების ძირში, რომლებიც ქალაქს არტყიან. აქ კი თქვენ თავისუფლად ამოისუნთქავთ და თვალიც დაისვენებს მწვანე ხავერდით. ცა ლურჯი კამკამაა, არა გამჭვარტლული. აუზიდგან წყალი ლამაზად ჩუხჩუხებს. მოხუცი მაგრამ კვლავ ლამაზი ხეები ცაში იწვდიან თავისს ტოტებს. ათასგვარი ყვავილი გარს შემორტყმიან და ლამაზად კრთებიან ცის ზეფირით. ხოლო გორაკიდგან სასიამოვნო მიმზიდველობით გადმოსცქერის პატარა შენობა, ჩალით დახურული, ლამაზი და კოხტა. და იმის გვერდით ხვეულ ბალახებით შემორტყმული, თითქოს დიდი ხნის უკვე ხავს მოკიდებული სოფლის ეკლესიაო, მუზეუმი. რიოსკინმა კარგად იცოდა, რად გააძლიერა სულის ამგვარი მდგომარეობის შემქნელი ელემენტები. ხელოვნება არა მოქმედობს ადამიანზედ, თუ მასთან ქუჩიდგან მიდიხარ. ჯერ უნდა განიბერტყო წაღებიდგან მტვერი და განიწმინდო სული. ხელოვნების განცდას უნდა შეუდგეთ მხოლოდ, როგორც სწერდა ვაკენდროდერი, ,,სერიოზულად, მომზადებული სულით და განათებული გულით''.

რიოსკინის მუზეუმი, რომელმაც უნდა უამბოს მოღუშულ შეფილდის მუშებს ფლორენციის სილამაზესა და კარპაჩჩიოს სხივ-მოსილ სამეფოზედ, დაარსებულია 1875 წ. თავში, დაარსებისას საშუალება აკლდათ, მხატვრული სიმდიდრე ნაკლებად იყო, მაგრამ მათ ხელმძღვანელობდა გულწრფელი, ფანატიკურად მიმდევარი თავისი იდეისა სილამაზის მოციქული, და მუზეუმი თანდათან გაიზარდა მდიდარ და ყოველი მხრით სრულს თავის აღსრულებით მხატვრულ დაწესებულებად.

აქ ყველაფერი თავის ადგილზეა, წესზე, ყველაფერი აწონ-დაწონილია და ისე გაკეთებული, და ამ მხრივ რიოსკინის მუზეუმი ერთად-ერთი თავისებური კლასიკური მაგალითია. და სხვა ამგვარი დაწესებულება არც ინგლისში და არც სხვაგან სადმე, ხელოვნებისა და ყველაფრის, რასაც მასთან დამოკიდებულება აქვს, იმისთანა მცოდნემ, როგორიც რიხარდ მუტერია, სხვა ვერსად ნახა.

ვებული ალაანდრებით აევსოთ. მართალია, თითქმის სულ-თქმა მეხუთეა ამ ვარდისფერი და თეთრი ყვავილების სურნელოვანობით, მაგრამ ჩემს სულს კი ანებივრებს ეს რბილი და დამტკბობელი სუნი, რომელიც თითქოს გონილსაც მომაგონებს, — და მე ადვილად ვერიგებდი იმ ცოტაოდენს სიმძიმესა და შეხუთულობას, რომელსაც გულში ვგრძნობ. და ჩემი თვალებიც ისვენებენ, როცა ამ ხეების მუქ-მწვანეს უცქერიან. ჩემი სობანი ვარდისფერი აბრეშუმისაა, თეთრ ზერანგს ზემოდ კი არაფერი ჩავიცვი.

ასე ვუცდიდი მას, და ისიც ჩქარა მოვიდა. იმისი დედა გვერდით ოთახში დარჩა.

ნელა შემოვიდა ის და ნელისვე ნაბიჯით გამოემართა ქვის ფიალქნებზედ, რომლებიც იმის მოსვლის წინ სურნელოვანი წყლით ვასხურეთ.

თვალებ დახრილი ერთი წამით გაჩერდა ჩემს წინ, შემდეგ ნელა დაიხარა და ჩუმად, თითქმის შეუმჩნევლად, ხელზედ მაკოცა. და მე შევეკითხე:

— ხელზედ რად მკოცნი, კარლოტტი?

— მე თქვენი ეშა გახლავარ, padrone! — გავიგონე მისი ერუ ხმა.

და მე მხოლოდ ამ წუთში მომაგონდა, რომ ერთი ჩემი უღარიბესი ხიზანის ქალია.

წელში გასწორდა და მშვიდად, მაგრამ ამაყად იდგა ჩემს წინ, — მე კი ჩუმად ვიუცვი, რომ უფრო კარგად მომეხერხებინა გამეცნო მისი სახე.

ვიწრო, გამხმარი სახე მუქ-ყვითელი ფერისა, დრმად ჩავარდნილი წაბლის ფერი თვალები, სასტიკი, ცხოვრების სიხარულს განშორებული, გამომეტყველება მკრთალი ტუჩებისა. შუბლი დანაოჭებული, ხმელი შავი თმები. ეურში ოქროს საყურე უბრწყინავდა და ოქროსვე ძეწკვი ეკიდა კისერზედ. მზე მოკიდებულ ხელში მარაო ეჭირა, და ნეკს ბატარა ოქროს ბეჭედი უმშვენებდა.

ტიპიური კოლეხის ქალი, უქმე დღისთვის გამოწყობილი.

ბოლოს, მე ერთხელ კიდევ გავუწოდე ხელი და ვუთხარი, — ვგონებ ამავე დროს გავიდიმე კიდეც:

— ერთხელ კიდევ მომინდა შენი ნახვა, ძვირფასო კარლოტტა, სიკვდილის წინ.

იმან შიშით მომაჰერო თავისი დიდრონი შავი თვალები. ხელი არ გამომართვა. შეძრწუნებულად და მტკივნეულად შინჯავდა ჩემს ჩამომხმარს სახეს.

— თქვენ უნდა ცოტა მაღლა, მთებში წასულიყავით, — მეუბნება ის მზრუნველობით და ნელა იღებს დაბლა ჩავარდნილს ჩემს ხელსახოცს.

როგორც მოსიყვარულე პედაგოგს, რიონსკინს ალერსიანად მიჰყავს თავისი შეგირდი, რომელიც ჯოჯოხეთურ შრომას ცოტა გონებრივად დაბლა დაუწევია, და ხელოვნების ანბანიდგან აწყობინებს. ,,ბუნების სილამაზეთა'' კოლლექციის თავისი საკვირველი შერჩევით, ბუნების სამივე სამთავროში, იგი პირველად უღვიძებს მშვენიერების გრძნობას. შემდეგ ნელა, ნელა, იწყობს პრიმიტივებით და თან და თან ართულებს ფორმის და ბოლოს მიჰყავს უკვე გაღვიძებული მისი სული ხელოვნების უკვდავ, დიდებულ ნაწარმოებებთან. მუშატყავის ჭუჭყიანი ფეშტამლით, გაპოხიერებული ქუდით, ტლანქი დაკოჟიჟებული ხელებით სდგას წინაშე რაფაელისა, კორეჯიოსი, ტიციანისა, მურილოსა, რემბრანდტისა...

თქვენ იცინით? თქვენ ეს საკვირველ პარადოქსათ გეჩვენებათ? მაშ იცოდეთ, რომ ამ პარადოქსზედ, რომელიც რეალურ სინამდვილედ გადიქცა, სილამაზის დიდებული მოციქული სტიროდა. სტიროდა სიხარულის ცრემლებით...

იმის სულს აღავსებდა ბედნიერებით ის, რასაც შეეძლო სხვა შეეკრთო და უარი ეთქმევინებინა. თუნდაც აი, მაგალითად, შემდეგი:

,,მოსამსახურისა და ჩემს მეტი, — გადმოგვცემს თავის აზრებს რიხარდ მუტერი, მუზეუმში დარჩი კიდევ მხოლოდ ერთი დაკონკილი, ნახევრად მთვრალი მუშა, როელსაც ეძინა და ხვრინავდა. მხოლოდ აქ გავიგე ცხადად, რა დიდი იდეალისტი, რა კეთილშობილი მეოცნებე იყო რიოსკინი. იმან მიაღწია მას, რომ შეფილდი ესთეტების სალოცავ ადგილად გახდა, მიაღწია იმას რომ კვირაობით, როცა მინდორში მზე მეტის მეტად სწვავს, მუშებსა სძინავთ იმის მუზეუმში. ჩვენ ეხლა ყველანი ვცდილობთ ვიყოთ მისი მიმდევარნი. ჩვენ სიტყვებს ვამბობთ სამხატვრო-აღმზრდელობის კრებეზედ, ვქადაგობთ გაზეთის ფურცლებზედ ,,სილამაზის რელიგიას''. მაგრამ როცა მერსბრუკ-პარკიდგან ბრუნდებით, ჭვარტლიან ცის ქვეშ, ამ ადამიან მანქანებთან, გაჭირვება — სიღარიბესთან, თქვენ ჰკითხავთ თქვენს თავს, განა ეს უსულგდმულო კეკლუცობა არ იყო დ'ანუნციოს მხრივ, როდესაც თავის თავს სილამაზის დეპუტატს ეძახდა, განა ყველა ჩვენ უბრალო ფრაზიორები არა ვართ, რომლებიც ხალხს პურის მაგიერ ქვას ვაწვდით, და ნუ თუ ტოლსტოი უფრო მართალია, ვინემ რიოსკინი?''.

ახალმოსული.

— დაჯექი აქ, ჩემს ახლოს,—ვეუბნები და სავარძელზედ ვუჩვენებ.

და ისიც მოკრძალებით ჯდება. მე ვიგრძენი მისი მატულის ტანისამოსისა და რიდეთიც წასმული თმების სუნი, და ვიფიქრე, რა ადვილი იყო, რომ ის აბრეშუმში ჩამესვა და თმები ოდეკოლონით დამებანა. ხოლო ამისი კეთილი ქალური გული არა საჭიროებს არც სამკაულებს, არც განწმენდას. ვუცქეროდი მას და ვფიქრობდი: აი ის, რომელიც გიყვარდა, რომელსაც უყვარდი, რომლისაგანაც წოდებრივ რწმენათა გამო ბარი იქცეე და რომელმაც შენს გამო დადვარა მრავალი ცრემლი, ცრემლთა მდინარენი. შენ ეხლაც გიყვარს ეგ, თუმც მწუხარებას დაუდარია მისი შუბლი, და ვარდისფერი მოუტაცნია მისი ტუჩებისთვის. ეს სულ შენი ბრალია. შენა ჰკოცნიდი ამ ტუჩებს, როცა ის წიოელს მარჯანს მოაგონებდნენ კაცსა. ეს ქალი გულზედ მიიკარი მაშინ, როცა მისი ქალწულებრივი მკერდი და გვერდნი მორგვალებული იყვნენ, და იგი მხოლოდ თექვსმეტი წლისა იყო.

იმის აქეთ ათმა წელმა განვლო. მაშინ... ცხოვრების სიხარული დუღდა ჩემს ხელებში, მამაცური ძალით იყოთ ადგილი ჩემი კუნთები, და ბედი ჩემს ხელში იყო; ჩემგან იყო დამოკიდებული, კაცმხარვიეავ სრულიად დამოუკიდებელი, თავისუფალი და მაშასადამე ბედნიერი კაცი. მაგრამ მე უწელა ეს არარად ჩავაგდე. დავხურე ჩემი გული, უარვეავი ბუნება ჩემი და დიდი ძალადობა მოვიქმედე,—ვულალტე ჩემს თავს ორდენებისა, ბრწყინვალებისა და პატივ-მოყვარეობათა გამარჯვებების გულისთვის.

ყველა ამას ჩემს გულში ვფიქრობდი, და ვფიქრობდი იქნებ სჯობს, ყველა ეს ამასაც ვუთხრა მეთქი.

ის იჯდა ჩემ წინ მზემოკიდებული, თითქოს პანაქება-სიცხეს ამოეწვას და ამოებუგოს ავ-სენიან მწვავ ქარს. ჩაცვინული თვალებიდგან გამოსჭვიოდა განუცდელი უსიხარულო სიუმაწვილის შიმშილი; სხეული დამჭკნარა სიყვარულით, რომელიც არ მივიღე მე და რომელზედაც არ ვუპასუხე სულელურ ამპარტავნობით. ყველა ეს წავართვი მე მას და თავ-მოტეეებით ვაჯილდოვებდი ჩემს თავს.

სანტიმენტალობის მოყვარული არა ვარ და იმის შიშით, რომ ამის შესახებ დაპარაკი ქალთან, რომელიც ოდესმე ჩემთვის ძვირფასი იყო და რომელიც მე მოვტე�d, სანტიმენტალურ მდგომარეობაში ჩამაყენებდა,—მე უსიტყვოდ გამოვიძრე თითზედ ბეჭედი, კავუწოდე და მხოლოდ უთხარი:—არ დამივიწყო, როცა მოვკვდე.

თვალები შემომანათა უცბად,—შიში და საყვედური ადინიშნა იმის თვალებში. ეს შეხედვა თავისუფალი ქალისა იყო, და არა „ამისა“,—და იმან კადმომცა, არასოდეს არ დაგივიწყებო. სწრაფად კამოვარეთვა ბეჭედი, მუჭაში ეჭირა მაგრად, თითქოს ამბობდა, რომ ამ ბეჭედს მხოლოდ სიცოცხლესთან ერთად თუ წამართმევენო. ოჰ, ნეტავ მაშინ, წინადაც ასე მაგრად დაეჭირა ჩემი გული და თვით ჩემი თავისთვისაც კი არ მოეცა იგი!

— ხომ არა გაქვს რამე სურვილი, რომლის ასრულებაც შემეძლოს?—ნელა ვკითხე და რაც საშინელმა, უსამზღვრო სისუსტემ მომიცვა.

— მხოლოდ ერთი... ნება მომეცით ერთხელ კიდევ ვკოცო თქვენს ხელს,—წაიდაბურაკა იმან, თან შერცხვა და ძალზედ გაწითლდა.

მე გავიწმინდე ჩემი ცივი, ცოტა სველი ხელი და გავუწოდე მას, მაგრამ მოავლო თუ არა იმან ხელი, მე იგი მივიწიე ჩემთან და მისს დაკოჟებული, მზით დამწვარი ხელი ტუჩებთან მივიტანე.

მე ვკოცე ამ გლეხის ქალს დაკოჟებულს ხელზედ.

— დვოისმშობელო!— შეჰყვირა იმან და ჩემი საწოლის წინ მუხლი მოიყარა.

— მაპატიე!—ჩუმად ვუთხარი და კამოუოქმელი ნეტარებით ვუცქეროდი, როგორ მოადო თავის თავი ჩემს ბალიშს.—მაპატიე და ჩამოხადე ჩემს სულს უდიდესი ტოდვა!

ის სდუმდა, ისევე იდგა მუხლ-მოდრეკით და ეკვროდა ჩემს ბალიშს იქ, სადაც ჩემი თავიც იდო.

და მე ვიგრძენი: არა მაქვს პატიება. იმან მსჯავრი დამდო მე.

დიდხანს ვიუავით გაჩუმებულნი. დავიღალე, საშინლად დავიღალე. საფეთქლები საშინლად მიცემდა. ვთხოვე, წასულიყო ჩემგან და იმდენი ძალა ადარა მქონდა მძიმე, ანთებული წამწამები ამეწია და ერთხელ კიდევ შემეხედნა.

მხოლოდ ვიგრძენი, რომ ის წავიდა, იმით, რომ რაც სიმარტოვე და სიცალიერე იგრძნო ჩემმა სულმა.

* * *

აუვავებული ადანდრები კაიტანეს, თანჯრები მძიმე, ბნელი თვრდებით დახურეს. მაგრამ მე მაინც მესმის, როგორ მოელი დღე-ღამეებით ჭრიჭინები ჭრიჭინებენ.

ჩქარა იმათაც ვეღარ კავიგონებ.

გ. ნამორაძე.

ვინმე კალმოსანს

გაზ. „თემი“, თავის დააფრაკებული რედაქტორით აქამდის ყველას მარტო მოლიბერალო სიბრიყვის ბუდეთ ეგულებოდა და მაინცა და მაინც დიდი ვნების მომტანად არავინ ჩასთვლიდა: „დეე ფქვას, რაც ენაზე მოადგება, ვინ აქცევს ყურადღებას უნიადაგო ადამიანის ლაქლაქსაო“, — ხშირად გამიგონია. მაგრამ უკანასკნელ ნომერში, № 151, —,,თემის'' ნაცნობი ,,ვინმე კალმოსანი'', რომლის ენა, აზრი, ანუ უკეთ, უაზრობა, ისე ჰგავს გრიგოლ დიასამიძისას, როგორც ვაშლის ორი ნახევარი, — ეს „ყვითელი“ გაზეთი ყოველს საზღვარს გადადის და ,,დანოსებსა'' სწერს. მე ვგრძნობ, რომ გ. დიასამიძეს გაეხარდება ეს შენიშვნა: „ჩემი გაზეთი ასი ცალით მეტი გამეყიდებაო'', მაგრამ ნუ თუ ქართველ საზოგადოებას ისე დაჰკარგვია ალღო ზნეობრივი, რომ ველარც კი ამჩნევს, რა ჯურის პროვოკატორები გვისხედან პრესაში და ხელმძღვანელობენ კიდეც მას. ,,ვინმე კალმოსანის'' წერილი, ეს უანგარო „დანოსია“, რომლისთვისაც, საცა ჯერ არს, კარგ ჯილდოსაც მიიღებდა, თუ მოისურვებს, მაგრამ როცა ეროვნული ორგანიზმის გონება შერყეულია და შემაკავებელი ცენტრი შესუსტებული, — აღარაფერმა უნდა გაგვაკვირვოს. ოღონდ ვაფრთხილებთ ქართველ საზოგადოებას, რომ ერიდნენ ,,თემის'' რედაქტორს; — ეხლა გარანტია არავისა აქვს, რომ „ღვთის წყალობა“ უთხრათ, და ღვთის ცეცხლივით ცრუ „დანოსი“ არ დაბეჭდოს თავის გაზეთში რომელიმე ფსევდონიმით.

რ. გაბაშვილი.

მეფის მოადგილის რეზოლიუცია პოლიტექნიკუმის შესახებ

,,მიუხედავად გენერალ-ლეიტენანტის გაბაშვილის წყევლა-კრულვისა, რაიცა მედება უმეტეს წილად მე, როგორც ისეთს ადამიანს, რომელიც საბოლოოდ სწყვეტავს საპოლიტექნიკუმო ადგილის არჩევის საკითხს, ვეთანხმები კომისიის უმრავლესობის აზრს, უმთავრესად ფინანსიურ მოსაზრებათა ძალით. და საპოლიტექნიკუმო ადგილად ვამტკიცებ ნავთლუღს''.

რეზოლიუციის პირველი ნაწილი, რომელსაც პოლემიკური ხასიათი აქვს, უეჭველია, ბევრს გაუგებრობას გამოიწვევს. ამიტომ მოგვყავს ოფიციალური განმარტება ოფიციალურ გაზეთ ,,კავკაზი''-სა, რომელიც ასე ჰხსნის ამ საპოლემიკო ფრაზის წარმოშობას: ,,რეზოლიუციის პირველი ნაწილი გამოწვეულია იმით, რომ გერენალ-ლეიტენანტმა გაბაშვილმა თავის განსაკუთრებულ აზრში გამოსთქვა შემდეგი: ,,ნავთლუღის საერთო ცუდი პირობების გამო, მომავალი სტუდენტები, პროფესორები და მოსამსახურენი, ცხადია, წყევლა-კრულვით მოიხსენებენ იმ პირებს, რომლებმაც პოლიტექნიკუმი ასეთს ადგილას ააშენეს''.

უკანასკნელი ამბები

წარსულ კვირას **ქ. შ. წ. კ. გ. ს. საზოგადო კრების გაგრძელება** იყო, რომელზედაც განიხილეს, სხვათა შორის, „ინსტრუქცია“ მომავალ მოქმედებისათვის. თუმცა ეს ინსტრუქცია ეწინააღმდეგებოდა ფორმის მხრითაც და შინაარსითაც, როგორც ლოღიკას ისე წესდებას, გამგეობამ საზოგადოებას იგი თავს მოახვია თითქმის დაძალებით. რამდენად უხეირო იყო ეს ინსტრუქცია, სჩანს თუნდა იქიდან, რომ თავმჯდომარემ ერთს ადგილს **უბრძანა** თავმჯდომარის ამხანაგს: ,,დაიცავით ინსტრუქციაო'' და მეორეთ, როცა გამგეობის 7 წევრისაგან 4 ფეხზედ ადგა ამ ინსტრუქციის წინააღმდეგ,

თავმჯდომარემ განაცხადა: ,,ამისთანა გამგეობასთან მე სამსახური არ შემიძლიანო'' და კრებიდანაც გავიდა... დროებით. მართლაც გამგეობამ უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო თავმჯდომარე თავისი უტაქტო ქცევით: თუ რამე საწინააღმდეგო ჰქონიათ წარმოდგენილი ინსტრუქციისა, ეს შინაურობაში უნდა განეცხადებინათ და კრებაზედ არ გამოეტანათ განხეთქილება, რომელმაც უბრალო ,,სკანდალის'' სახე მიიღო.

თავმჯდომარის ამხანაგმა, ბატონმა მდივანმა, ისე დაიცვა, ბრძანებისამებრ, ინსტრუქცია რომ სჯობდა დაუცველი ყოფილიყო: ყოველ სინამდვილის წინააღმდეგ იგი ამტკიცებდა, რომ ინსტრუქციის ძალით სექციების წევრებს საზოგადო კრება კი არა, გამგეობა ირჩევსო. მაშინ როდესაც მე-5-ე მუხლში ნათლად სწერია:

,,...ხუთ-ხუთი წევრისაგან, რომელთაც ირჩევს საზოგადოების წევრთა საერთო კრება''.

როგორც მკითხველი ხედავს, აზრი ნათელია ყველასათვის, გარდა იმ მოგვებისა, რომელთაც წ.-კ. გამგეობას ეძახიან. სირცხვილეული ბ. მდივანი იძულებული იყო ჩამჯდარიყო თავის ადგილას, როცა ამაზედ მიუთითა რ. გაბაშვილმა. ასე რომ ინსტრუქციას დამცველი არა ჰყავდა, გარდა ღსახელო კომისიისა, რომელმაც წარმოადგინა იგი, და კრიტიკოსი კი ბევრი. ამის და მიუხედავად, მიიღეს თითქმის სავსებით ინსტრუქცია, რომლის ძალით კრება ირჩევს ერთი გამგეობის მაგიერ – ხუთსა, თითქმის თანასწორი უფლებით და მოწინააღმდეგე ინტერესებით. ამისთანა გადასმა-გადმოსმით, გამგეობას იმედი აქვს საქმე უკეთ წაიყვანოს, მაგრამ კრილოვმა დიდი ხანია სთქვა: ,,...какъ ни садитесь, а въ музыканты не годитесь'' მართლაც, ყველა წევრი გამგეობისა ისე არის დატვირთული საკუთარი საქმეებით, საზოგადოთი თუ კერძოთი, რომ ვერც ერთს ვერ შეუძლიან თავისი დრო და ენერგია შესწიროს წ.-კ. გ. საზოგადოებას, თუ არ სამოწყალოდ და ქველმოქმედების სახით. ამისთანა ქველმოქმედებამ კი დიდი ხანია ნიადაგი დაჰკარგა, რაც საქმე მეტად გართულდა და წვრილმალ, ყოველ დღიურ მუშაობას თხოულობს და არა მარტო სხდომებზედ ,,ჭკვიანურ'' ბაასს. ამიტომ, მართლაც, გინდა სექციებად დაჰყოთ, გინდ ერთად დასხათ— გამგეობას უნარი არ მოემატება საქმიანობისა, სანამ **თავისუფალი** მშრომელი არა ჰყავს საზოგადოებას, რომელიც **ვალდებული** იქნება მთელი თავისი დრო და ენერგია განსაკუთრებით საზოგადოებას მოახმაროს და არა დაბნეულ-დაქსაქსული იყოს თვრამეტ სხვა და სხვა საზოგადოებაში, საქმეში და სხ., როგორც ეხლანდელი გამგეობის წევრნი.

პრინციპი იგივ რჩება ქველმოქმედებისა და, რაც გინდა შესცვალოთ ფორმა,—შინაარსი, ე. ი. საქმის წარმატება არ მოიმატებს.

———

ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოება 20 ქრისტიშობისთვეს ქართულ თეატრში გამართავს ლიტერატურულ-მუსიკალურ საღამოს, რომელზედაც ნ. სულხანიშვილის ხორო შეასრულებს ახალ სიმღერებს. ეს სიმღერები სულხანიშვილმა ამ ზაფხულს ფონოგრაფით გადაიღო და დაამუშავა.

სასკოლო კრების გაგრძელება 25 გიორგობისთვეს მოხდა. ის დიდმნიშვნელოვანი საგანი,— რომელსაც შესწირეს ყველაფერი, რომლისთვისაც არ დაინანეს არც განოვის ქუჩაზედ სახლი, არც სასკოლო შენობის გადაგირავება; არ დაინანეს ისიც კი, რომ ,,ღარიბ'' შეგირდების სწავლის ფასი ასწიეს 75 მანეთამდის,—ყველას თითქო დაავიწყდა და ისეთმა საკითხმა წამოჰყო თავი, რომელიც ჩირქად მოეცხობა ამ ,,ღარიბ მოსწავლეთა'' დამხმარე საზოგადოებას. სწორედ ისინი, ვინც წარსულ კრებაზედ თავგამოდებით იცავდნენ შენობის გადარჩენის აუცილებლობას, სწორედ ისინი, ვინც აღშფოთდნენ სწავლის ფასის მომატებით შეგირდებისათვის, თუნდაც შენობის გადასარჩენად, სწორედ ისინი ამტკიცებდნენ რომ საჭიროა ექიმს, ხუთეულები მოემატოს, ე. ი. ჯამაგირი. მაშინ როდესაც სახელმწიფო გიმნაზიებში, საცა უკანასკნელ დროს ჯამაგირები თითქმის არად გაუხადეს მასწავლებელთ და ექიმისთვის 30 თუმნიდან 60-მდის ავიდნენ, ჩვენი ბედოვლათი ხელმძღვანელნი არ კმაყოფილდებიან იმითაც რომ ჩვენს სასკოლო ექიმს 200 თუმანი აქვს წელიწადში ჯამაგირი და კიდევაც უმატებენ. ამას კიდევ შეიგუებდა ადამიანი, ვინაიდან პრინციპიალური მოსაზრებაა, რომ მარტო კარგი ფასით იშოვება კარგი მშრომელი, მაგრამ მაშინ როდესაც ,,სახლი იწვის'', ბ-ნ თავმჯდომარის სტოლიპინისებური სიტყვა რომ გავიმეოროთ—**ყველას** მართებს დახმარების ხელის გაწევა. ჩვენ კი რას ვხედავთ: სწორედ იმავე კრებაზედ, რომელზედაც გადასწყდა უაღრესი (დამსწრეთა შეგნებით) ზომის მიღებაც კი —შეგირდების შევიწროვება ფასის გადიდებით— იმავე კრებაზედ გადასწყდა: მოემატოს ჯამაგირი ექიმს. სირცხვილი იმ ექიმსაც, სირცხვილი ამ პო-

ზიციაზედ მდგართაც, რომ სწორედ ცეცხლის კიდების დროს მოითბეს ხელი და ლამაზი სიტყვებიც კი ი'შოვეს ამ უდიერი საქციელის გასამართლებლად. როდესაც ჩვენ წ.-კ. ს. კრებაზედ განვაცხადეთ შემცდარად აზრი ქველმოქმედებისა, საცა ყოველდღიური სამუშაოა დიდი,— თანაგრძნობის მაგიერ, თითქო ალმაცერადაც შემოგვხედეს და იმავ საზოგადოებას, იმავ პირთ ენა მოუტრიალდათ და იქ, საცა უაღრესი ზნეობრივი კანონი მოითხოვდა ყველა მსხვერპლს ყოველი ადამიანისაგან—იქ გადასწყდა საკითხი: „მაშინ როდესაც გიმნაზიის შენობა მძიმე ტვირთად გვაწევს და გვჭყლეტს გამოვაცალოთ კიდევ ერთი აგური, ექიმის ჯამაგირის სახით, რომ უფრო მძიმედ დაგვაწვეს იგი". სირცხვილია, სირცხვილი! და ამ დროს თავმჯდომარეობდა ბ-ნი ბაქრაძე, რომელიც არამთუ თანაუგრძნობდა ამ უხერხულ ზომას, კიდეც ,,ფელთფებელისებურ'' ყვირილით და ზარის რეკვით ხელს უწყობდა. დ. ჯორჯაძემ, ი. რატიშვილმა და ბ. მდივანმა ხომ ენა მოიწყლიანეს და საზოგადოება დაარწმუნეს, რომ ექიმს ბალარჯიშვილს საქმისაგან წელი აქვს მოწყვეტილი და თუ ხუთეულიც არ მიემატა შეგირდების საქმე დაღუპული იქნება... უთუოდ სწორედ იმ შეგირდებისა, რომელნიც 75—100 მანეთის შეტანას შესძლებენ, რომ ექიმის ხუთეული შეადგინონ. ესე სწყდება ქართული საქმეები... სწყდება ყოველთვის. საზოგადო ფული ადვილად და გულუხვად გაიცემის ტკბილ სიტყვებთან ერთად, მაგრამ საქმენი საზოგადონი სულ უკან და უკან იხევენ. ბალარჯიშვილს 2000 მანეთი ეკოტავება, მდივანს 3000 და იმავე სკოლაში გროშებს აგროვებენ—ღარიბ შეგირდებს სადილები ვაჭამოთო.

ნეტა ის ლექციები, რომლებსაც თურმე (?) ბალარჯიშვილი ჰიგიენაზედ კითხულობს შეივსებოდეს ჰიგიენური საჭმელით; ან სწორედ იმდენით, რამდენიც მოემატა ექიმს, მოემატოს საბავშვო სასადილოსაც იმ თანხიდან, რომელიც უნდა შეიტანონ ბანკში, სახლის ვალის გადასახდელად.

პოლიტეხნიკუმის გარშემო. თავ.-აზნაურთა წრეში დღითი-დღე მატულობს აზრი ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობის საგანგებო კრების მოწვევისა პოლიტეხნიკუმის თაობაზედ მოსალაპარაკებლად და მდგომარეობის გამოსარკვევად.

ჩვენის აზრითაც საჭიროა ასეთ კრების მოწვევა. თავ.-აზნაურობასა სურს ანგარიში გაუწიოს უკანასკნელად მომხდარ ამბებს.

ძველი ხენი

ყოველდღიური დაკვირვებით ცხოვრების ცვალებადობა როგორღაც შეუმჩნეველი და მიუღებია, და მხოლოდ წარსულ ხანებთან შედარებით ცხადი ჩნდება, დიდი თუ ნაკლები სისწრაფით მიდის წინ იგი. ჩვენს ეროვნულს ცხოვრებას ერთი ძალიან დამახასიათებელი თვისება აქვს: სულ მუდამ სხვას შევცქერით პირში, აჰა, რას გაიმეტებს ჩვენთვის და რას გვიბოძებსო. და ეს თვისება არამცთუ საზოგადო მოვლენაა, თვით კერძო ადამიანიც კი ხშირად ამავე იმედით ცხოვრობს. დიდი პირი, მინისტრი და სხვა მათგვარი ხომ ჩვენთვის მიუწდომელი და სანეტარო რამ იყო, რაზედაც ღვთიურ იმედებს ვამყარებდით. ძველი ,,ივერია'' 1882 წლისა რომ აიღოთ, იქ თქვენ შეგხვდებათ ერთი ცნობა: კავკასიის განსაკუთრებული მთავარ-მმართებლობა გაუქმდაო. და ამაზედ შინაური მიმომხილველი ერთს სასიხარულო იმედით აღსავსე წერილს სწერს: ,,ამ ცვლილებამ ჩვენ გვაღირსა ის, რომ ორი მინისტრი ზედი-ზედ ეწვივნენ ჩვენს ქვეყანას და განა ეგ ცოტაა. აბა როდის გვღირსებია ეგ იშვიათი დიდება?'' ჟურნალის აზრით რაკი მინისტრები მოვიდნენ ჩვენს ქვეყანაში, მაშ თუ სრულიად არა, არც რამე დააკლდებოდა ჩვენი ქვეყნის აყვავებას. როდესაც იგი ეხება მიზეზს, თუ რად მოვიდნენ მინისტრებიო, ამბობს,—,,იმიტომ რომ ჯერ მათგან არ ცნობილი ქვეყანა თავის თვალით ენახათ, მისი ავკარგიანობა შეეტყოთ, მისი ჭირი და ლხინი გაეგოთ და ყოველივე ამით აბჯარ-ასხმულნი შესდგომოდნენ თავ-თავიანთ საქმეს ჩვენის ქვეყნის სამოთხედ გადაქცევის შესახებ.'' და თან ვიღაცას ეკამათება იგი—,,ნუ თუ ამას იქით კიდევ ვინმე გაბედავს თქმას: რა გამოვაო? თუ აქედანაც არა გამოვა რა, მაშ სხვა საიდანღა უნდა გამოვიდესო''.

აი ამისთანა დიდი იმედები ჰქონდა ქართველობას დიდი პირებისა, გავიდა დრო, ბევრი ამ იმედთაგანი გაცრუვდა, ბევრჯელ უმუხთლა მათ დიდმა პირმა, მაგრამ იგი ძველებურად გულ-გაუტეხელად მაინც კიდევ იქითკენ იბრუნებს ხოლმე პირს, საითაც ეს ,,ივერია'' იცქირებოდა. და განვლილმა დრომაც ჯერ კარგად ვერ ასწავლა, რომ იმედი მას მხოლოდ თავისი თავისა უნდა ჰქონდეს და სხვა არავისი.

მეორე საგანსაც ეხება ჩვენი ,,ივერია''—ადა-

მიანის პიროვნების უპატივცემობასა. იგი სწუხს, რომ ,,გრძნობა ადამიანის ღირსებისა, ადამიანის პატიოსნებისა, რასაც უკეთესი ნაწილი კაცობრიობისა სიცოცხლესა სწირავს, ჩვენ სწორედ მჩვრად გაგვიხდია''.ო. მაგრამ ამ მხრივ კი ჩვენი დრო გაცილებით წინ წასულა და ეს საგანი ჩვენთვის უფრო მომეტებულად სავალალო გამხდარა. პიროვნების გათელვა, ადამიანის გაბიაბრუება, სხვისი სახელის უპატივცემულობა ჩვენში რაღაც უილაჯობის კანონად არის ქცეული. სამწუხაროა ყველა ეს, სამწუხარო! ძველი ავადმყოფობასავით დაუგდია მას ჩვენთვის, დაუბუდნია ჩვენ ორგანიზმში და ველარა ვხედავთ მისი თავიდგან მოცილების საშუალება-წამალს.

ნარი.

ქართულ წიგნების მმოძრავი ვაჭრობა საქართველოში

ყველამ იცის, რა დიდს ძალას წარმოადგენს თანამედროვე კაცობრიობის ცხოვრებაში წერა-კითხვა და წიგნი. სხვა ქვეყნები ამ მხრივ გაცილებით კარგს პირობებში არიან, ვინემ ჩვენი საქართველო. და აქ სხვათაშორის, სკოლების უქონლობის გარდა, ხელს უცარავს ადამიანს ის გარემოებაც, რომ ხშირად მას შეძლება არა აქვს, ფულიც რომ ჰქონდეს, წიგნი იყიდოს, თუ ამისთვის ქალაქ ადგილას არ წავიდა. ან თუ ვინმე მიაცხინ წიგნებს სოფლად, ის იმისთანა იქნება, რომ იმის ქონებას არ ქონება სჯობიან. ამის შესახებ ბევრჯელ ეოფილა დაპარაკი ქართულს პრესაში და აქ ჩვენ მას არ გამოვუდგებით. აქ ჩვენ გვინდა აღვნიშნოთ მხოლოდ მეტად სიმპატიური მოქმედება ახალგაზრდა მეწიგნე იასონ კერესელიძისა, რომელიც თავის შრომას სოფლისთვის კარგი წიგნების მიწოდებას ანდომებს. აი ამ ზარით წარსულს ზაფხულს იმან აიღო წიგნებით სავსე კალათი და სამ გზობათ მოიარა თითქმის მთელი ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველობა. ის ეოფილა სულ 115 სოფელში, აქედგან 19 სოფელი მაჰმადიანებისა ეოფილა, სულ წაუღია სამ გზობისათ 3134 წიგნი, აქედგან ზოგი ეოფილა შეწირული წიგნის მადაზიების პატრონებისა და გაპომტემლების მიერ—195 წიგნი, დანარჩენი ნაყიდი. იასონ კერესელიძეს ამ წიგნებიდგან თითქმის ნახევარი დაურიგებია უფასოდ—1584 ცალი, სხვა კი ფასად გაუყიდნია. როგორც ეხლა ჩვენ წინ მდებარე სიიდგანა სჩანს, წიგნები სრული შერჩევით არის წაღებული სოფლად და აწვდის სოფელს დაკვირვებით არჩეულს საკითხავს. სასიამოვნო მოგვენია, მით უფრო რომ რამდენადაც ვიცით, ეს პირველი ცდაა, როდესაც ქართველი კაცი ასე ვაჭრობს წიგნებით. საფრანგეთი ამ გვარმა მეწიგნეებმა საბნელიდგან გამოიყვანეს, მაშ მიგბაძოთ ჩვენც მათს მაგალითს.

ნარგიზი.

პატარა ფელეტონი

დღიური

10 ღვინობისთვე

დღეს ჩამოვედი ჩემს სამშობლო საქართველოში. ვერ წარმოიდგენთ, გული რანაირად განმინათლდა, რა მხიარულად დაიწყო ცემა. ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა...

ჩემი აღტაცება ჩემს გვერდით მყოფ ახალგაზრდას გავუზიარე. მაგრამ ვახსენე თუ არა სიტყვა სამშობლო, მან პირი იბრუნა, დაიღვრიმა და გაჯავრებითა და დაცინვით მოიაძახა:,,მამულიშვილი''. ნუ თუ მამულიშვილობა სამარცხვინო და დასაცინი რამ არის? გავიფიქრე მე და გაკვირვებული მოვშორდი ამ ახალგაზრდას.

30 ღვინობისთვე

ჰმ! წარმოიდგინეთ, რაც დრო გადის, უფრო მეუცხოება ჩვენი ქვეყანა. იძულებული ვარ სიტყვა სამშობლო აღარ ვიხმარო, და ქართულად, ვცდილობ, რაც შეიძლება იშვიათად ვილაპარაკო.

დიაღ, ძალიან გამოცვლილა ჩვენი ქვეყანა! წინ წასულა, კულტურულანი გამხდარა. წარმოიდგინეთ, უკანასკნელი სტატისტიკური გამოკვლევით საქართველოში სცხოვრობს თურმე მხოლოდ ოცდაშვიდი (ისიც სულ ასი წლის მოხუცები) და ნახევარი (ეს ბავშვია) ქართველი, სხვები სულ სოციალისტები ყოფილან. რა გაეწყობა, გადავწყვიტე—მეც სოციალისტი გავხდე.

10 გიორგობისთვე

ჩემი გადაწყვეტილება სისრულეში მოვიყვანე და უწინარეს-ყოვლისა ქართული გაზეთი გამოვიწერე; ის გაზეთი, რომელიც სიტყვას—მამულიშვილი, უფრჩხილებოდ არა ხმარობს. და არც მოვსტყუვ-

დი: ბევრი რამ მასწავლა იმან. ძალიან საინტერესო უნდა იყოს მართლაც ეს გაზეთი ყველა ქართველისთვის, ე. ი. სოციალისტისთვის; ჯერ ერთი — საქართველო იქ არ იხსენიება, და ან კი რას მიქვიან საქართველო, ერთი მიბრძანეთ, როცა — თქვენ მხოლოდ ჩაუკვირდით ამ მოვლენას—,,ბარსელონაში ტრამვაის ვაგონმა ქუჩაზე ბალღი წაქცია, რის გამო შეგროვილმა სტუდენტთა ბრბომ ქვები დაუშინა ვაგონს'', ,,დვინსკში დაატუსაღეს თავად-აზნაურობის წინამძღოლი'' და ,,ექვს ამ თვეს პეტერბურგში გაირჩეოდა ობუხოვის ქარხნის მუშების საქმე''. ერთის სიტყვით, მეტად საინტერესო მასალაა.

12 **გიორგობისთვე**

დღეს ჩემთან ერთი ძველი ნაცნობი შემოვიდა. დაიწყო ლაპარაკი — ეს ჩვენი ხალხი დამშეულაო, ეს ქართულ ენას სდევნიანო, ტერიტორია გვეყიდება და ჩვენს ხალხს სხვა ერში მოელის გათქვეფაო. სწორედ გითხრა, მთქნარება დამაწყებინა. იმას ეგონა, ძალიან საჭირო და საინტერო რამეს მელაპარაკებოდა.

საბრალო ,,მამულიშვილი!''

ძლივას მოვიშორე თავიდგან. გამომშვიდობებისას ჩემი გამოწერილი გაზეთი მივეცი და ვურჩიე, იკითხე მეთქი. მართლაც იქ ერთი მეთაური მშვენივრად ეკამათებოდა ოქტომბრისტებს. აგრე უნდათ, ჰკა მაგათ!

15 **გიორგობისთვე.**

ფრიად სამწუხარო ამბავი ამოვიკითხე დღევანდელი გაზეთის მეთაურში: ,,ჩინეთში იუანშიკაის დიქტატურა გამეფდაო''. ფრიად სამწუხაროა, სამწუხარო! უნდა უთუოდ ავუხსნათ ჩინეთის ხალხს ეს ამბავი. მე ჩემის მხრივ ეს გაზეთი ერთს ჩინელს გავუგზავნე, რომ კარგად გაეგოთ იმათაც თავიანთი უბედურება; უსათუოდ ყველანი უნდა დავეხმაროთ მათ. უსათუოდ!

ჰმ, რა სასაცილოა ზოგიერთი ხალხი! ჩინეთში ამისთანა ამბავი მომხდარა, და აქ ჩვენი ,,მამულიშვილები'' კი იმის მაგივრად, რომ ჩინელებს რამე დახმარება აღმოუჩინოთ, ჩასციებიან ამ ტერიტორიისა და ხიზანთა საკითხებს. წყალსა და მეწყერსაც, ან უკეთ ოსებსაც წაულიათ ტერიტორიაკა და ხიზანთა საკითხიც; თუ კი ჩინეთში იუანშიკაი დიქტატურას გამოაცხადებს.

ჭკუა მოკლე მამულიშვილნო! ნუ თუ თქვენს ცხვირს იქით ვერაფერსა ხედავთ! ჩინეთში რესპუბლიკა იღუპება, რესპუბლიკა!

20 **გიორგობისთვე.**

ცოტა კარგად ვერა ვგრძნობ თავსა, მაგრამ მაინც ვცდილობ ქვეყნიერებასა და მსოფლიოს რამე სარგებლობა მოვუტანო. კაცობრიობას რომ გავაბედნიერებ, მერე ვფიქრობ მარსის მცხოვრებლებზედ გადავიდე და იმათზედ დავიწყო ზრუნვა. ჩვენ, სოც.-დემოკრატებმა უნდა გავაფართოვოთ ჩვენი გული და მოღვაწეობა!

25 **გიორგობისთვე.**

დღეს ,,ჩვენს'' გაზეთს ერთი ძალიან დიდი რჩევა მივეცი. ვურჩიე, ქართული ანბანიდგან ამოშალონ ასოები: ს, ა, ქ, რ, თ, ვ, ე, ლ, ო; დიდებული აზრია! მაშინ რაღას იზამენ ჩვენი ,,მამულიშვილები''. როცა იმ ერთი სახელის დაწერა მოუნდებათ, რომელსაც ისინი გიჟურად ეთაყვანებიან?! მაშ...

ეს დღიური სრულიად შემთხვევით ჩამივარდა ხელში. უკანასკნელ დროს ჩემი მეზობელი ვერ იყო კარგად, სულ ბოდავდა ჩინეთზედ, მარსზედ, მსოფლიოს მუშებზედ, მინსკის მეწაღეებზედ, მთელი ღამეები არ ეძინა, ყვიროდა, ღრიალებდა... იძულებულნი ვიყავით ექიმისთვის მიგვემართა. ექიმმა ბევრი შინჯა, ბოლოს მნიშვნელოვანად გააქნ-გამოაქნია თავი; წამლები გამოუწერა და ,,მერცხლის'' კითხვა აუკრძალა. ექიმის სიტყვით უმჯობესი იქნებოდა ყვითელ სახლში გადაგვეყანა ეს ავადმყოფი და აი ამ დროს შემთხვევით მაგიდაზედ დავინახე ეს დღიური. და აი ვაქვეყნებ კიდეც.

გორელი.

ადამიანი და ცა

— აი, რაშია ცას ფრენის სიტკბო.

დიაღ. ეხლა ეს სიტკბო ადამიანმა უკვე იგრძნო! წინედ მიწაზედ სახოხად დაბადებულებს ცაში ფრენის უფლებაც კი არა ჰქონდათ მითვისებული, მაგრამ მაშინაც ჩვენ მოგვწონდა გმირული ცდა ადამიანისთვის დანიშნულ სამზღვრების ჩარჩოთა გაფართოვებისა; ჩვენ მოწონების და აღტაცების სალამს ვუძღვნიდით ,,მამაცთა სულელობას'', უგულოდ ყურს ვუგდებდით უნიჭო მეშჩან-ანკარათა სისინს, რომელთაც მხოლოდ მიწა სწამდათ და ცაში ფრენის სიტკბოს დაბლა ჩამოვარდნაში ხედავდნენ.

— საეჭვო სიტკბო...

და მხოლოდ ამ სამი წლის წინად ლამანშზედ გადაფრენას მიეგება აღფრთოვანებით მთელი კაცობრიობა, როგორც დიად გამარჯვებას, რომელიც კი ოდესმე რგებია ადამიანს ბუნების სტიქიონზედ.

მაგრამ ამის შემდეგ, ამ საარაკო გამარჯვების შემდეგ მამაცთა სიმამაცეზედ იმდენი საფლავი ამოძრავდა, რომ ჰაერზედ გამარჯვების რწმენა შეირყა. და მართლაც, რამდენი მამაცი დაიღუპა სწორედ იმის შემდეგ, როცა ლამანში გადაფრინეს და კაცობრიულ სასწაულთა ისტორიაში ახალი გმირის სახელი აღიბეჭდა...

ერთი ერთმანეთზედ ცვივოდნენ ისინი ცის სივრციდან და თვისი სისხლით მიწას წითლად ღებავდნენ.

— არა, ეს გამარჯვება არ არის, თუ ამდენი მსხვერპლი მოსდევს, თუ ცაში მფრინავი იგივე სასიკვდილოდ განმზადებული გლადიატორია! ამბობდა ხალხი.

Morituri...

ჰაერის დამორჩილებაზედ ლაპარაკობდნენ მხოლოდ როგორც თეორიულად განხილულ საკითხზედ, რომელსაც პრაქტიკაზედ კიდევ ბევრი შეუნიშნავი ხიფათი ეღობება წინ.

ასე ლაპარაკობდა ,,ფრთხილი მოხუცი'', და მას ბანს აძლევდა მხდალი მეშჩანი.

მაგრამ ვერაფერი იჭერდა მამაცთა და გამბედავთა მისწრაფებას. ახლო გამარჯვებით თითქოს დამთვრალნი, ისინი თამამად მიდიოდნენ მაღლა ცისკენ, აქეთ იყო მიქცეული მთელი მათი ძალა. და გაიმარჯვეს კიდეც.

ვინ არ მოუხრის ქედს ახალს სასწაულს:

— ადამიანი ფრინავს!

ზღაპრული გრძნეულივით ის მიდის ცის სივრცეში, გადის დიდს მანძილებს, თავისუფლად დანავარდობს მაღლა ჰაერში, და თვით ფრინველთაც კი სჯობნის.

ამბობენ, როცა დიდებული მსხვერპლი ავიაციისა შავიოზი, რომელიც ალპიის მთების მამაცურ გადაფრენის დროს დაიღუპა, იქ, მაღლა მთებში ფრენის დროს არწივებს შეხვდა, ფრინველთ მეფეებს არ ესიამოვნათ ამ უცხო ფრინველის ნახვა და სასტიკად მიესივნენ მას, მაგრამ შავიოზი გამარჯვებული დარჩა და არწივებმა გზა დაუტოვესო.

შეიძლება ეს სულ ადამიანის აღფრთოვანებულ გონების ზღაპარიც იყოს, მაგრამ ეხლა, როდესაც ჩვენა ვხედავთ, როგორ ფრინავენ დიად მანძილებს, ყველა ეს დასაჯერია.

ადამიანმა არწივს აჯობა!

მართალია, ბევრი მსხვერპლი შესწირა კაცობრიობამ ავიაციას, როგორც სხვა ყველა ადამიანის გონების დიად გამოგონებასაც, და ვინ იცის კიდევ რამდენი შეიწირება, მაგრამ გამარჯვება მაინც გამარჯვებათ რჩება.

ზოგნი ამბობენ, მფრინავი ადამიანი დიად გადამწყვეტს როლს შეასრულებს დედა-მიწაზედ მშვიდობისა და სიყვარულის დაფუძნების საქმეშიო, ის უარჰყოფს ეხლანდელ სახელმწიფოთა სამზღვრებს, დაინახავს ეხლანდელი შეჭედილი მუშტის არარაობასო.

მაგრამ სჯობს ნუ ვიმკითხავებთ ამაზედ: დაე თვით ცხოვრებამ იაროს თავისი ბუნებრივი გზით, ის გვაჩვენებს ყველას უკეთესად.

ჩვენ მხოლოდ აღტაცებით უნდა შევცქეროდეთ ამ მფრინავ ადამიანთ, რომელნიც თავისუფლად და თამამად დასრიალობენ ღრუბლებს ზევით და წყნარად ეშვებიან დაბლა მიწაზედ, უნდა თაყვანი ვცეთ ადამიანის ამ გამარჯვებას.

აი ეხლა ვგრძნობთ ჩვენ მხოლოდ ცაში ფრენის სილამაზესა და სიტკბოს.

ეს უკვე არა ,,მამაცთა სულელობაა'', არამედ მძლავრთა გამარჯვებაა.

,,სახოხათ დაბადებულთ'' დასძალეს ბუნება და მფრინავ ადამიანებზედ ზღაპარი სინამდვილეთ აქციეს.

ადამიანი ყველგან იმარჯვებს, თვით ჰაერზედაც, დარჩა მხოლოდ ერთი სიკვდილი, მხოლოდ ის არ უხრის ქედს ადამიანს, მაგრამ ვინ იცის. განა ოდესღაც ჰაერზედ გამარჯვებაც ფუჭს ოცნებად არ მიაჩნდათ ყველას?

გ. ნ.

გამრუსებელნი

რუსეთის ბიუროკრატია იმპერიის ყოველ განაპირა ადგილებში თავისი პოლიტიკის ერთს ლარს აბამს. ყველგან აზრადა აქვს ადგილობრივ მცხოვრებთა შევიწროება, რაც სხვათა შორის გამოისახება ეგრედ წოდებულ გარუსების პოლიტიკაშიც. ასე იქცევა ის ჩვენში, სადაც სცდილობს ერთგვარი სკოლებისა და თავისი მოხელეების წყალობით ქართველი ხალხი გაარუსოს, ასე იქცევა პოლონეთში და სხვაგანაც. ჟურნალ „русск. старина"-ში დაბეჭდილია მოგონებანი ერთი ამ გვარი გამრუსებე-

ლი მოხელისა, რომელსაც კარგა ხანი გაუტარებია პოლონეთში. ეს გახლავთ ვინმე პედაგოგი ბ-ნი სმოროდინოვი, რომელმაც თავისი კეთილ-საიმედო სამსახურით დირექტორის ადგილსაც კი მიაღწია. ამით ეტყობა, რომ ბ. სმოროდინოვი კარგი მოხელე იყო. და თუმცა მეტის მეტს ენერგიასაც არ იჩენდა, მაგრამ თავის მთავრობის განკარგულებათ კი ხელ-მიუკარებლივ ასრულებდა, ხოლო სამსახური მას მოუხდა უსაშინლეს გამრუსებელ ძალდატანების დროს. რასაკვირველია, ამ აღწერაში ბ. სმოროდინოვის სიმპატიები პოლონელების მხარეზედ არ არის, და სულით, გულით, ინტერესებით სრულიად მოპირდაპირე ბანაკშია, მაგრამ მაინც რა საცოდავს სურათს წარმოადგენს ეს ბანაკი ავტორის უეშმაკო აღწერაში. პოლონელებს, ამ ქვეყნის მკვიდრთ, რომლებიც ათასი უხილავი ძალით იყვნენ მიჯაჭულნი სამშობლო მხარეზედ, წინ უდგა მოხელეთა პატარა ჯგუფი, ოომელსაც პოლონეთში უნდა შეეტანა ,,რუსული სული''. და იმ ხალხში, რომელიც მათთვის სრულიად უცხო იყო ენითაც, კულტურითაც და ინტერესებითაც, რუსების ეს პატარა ჯგუფი ატარებდა ერთფეროვან ცხოვრებას, სადაც ერთად ერთს გულის გამართობელნი იყვნენ ბანქო და არაყი. ,,სადაც კი უნდა შეკრებილიყვნენ მოხელენი,— ამბობს სმოროდინოვი, უთუოდ ლაპარაკი იმაზედ ჰქონდათ, ვინ, როდის, სად, რამდენი წაგო, ან მოიგო; ვინ კარგად ვერ ჩავიდა ქაღალდს და რა შეცდომა ჩაიდინა ბანქოს თამაშში. და თვით საქმისთვის კი ყველა სცდილობდა თავი როგორმე დაეხწია, და არაფერი ეკეთებინა''. თურმე აგრედვე ძალიან უყვარდათ აქაურ მოხელეებს სადღესასწაულო სადილები, სადაც ხშირად მზარეულის ფესტამალით თვით ვიცე-გუბერნატორი რამე ,,სოუზს'' აკეთებდა. სამწუხაროდ, ბ. სმოროდინოვს ფაქტები ნაკლებად მოჰყავს, და უფრო საინტერესო იქ მხოლოდ გუბერნატორი თავ. დოლგორუკოვის შემთხვევაა: ერთხელ თურმე დიდს საზოგადოებაში საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე უარსა ჰყოფდა კლასიკურ აღზრდის მნიშვნელობას და ცოტა ხუმრობის კილოთი ელაპარაკებოდა ვაჟების გიმნაზიის დირექტორს. ეს გაუგია თავ. დოლგორუკოვს, მიუწვევია თავისთან სასამართლოს თავმჯდომარე, დაუტუქსავს, შენ აქ რუსის მთავრობის პრესტიჟს დაბლა სცემო, და ბოდიში მოუხდევინებია დირექტორის წინაშე, თორემ უნდა სამსახურიდგან დაეთხოვათ. აქ უნდა ვთქვათ, რომ სასამართლოს თავმჯომარე პოლონელი იყო. აი ამისთანა ხალხი იყო პოლონელების გასარუსებლად გაგზავნილი, და რასაკვირველია, პოლონეთის ძლიერი კულტურისა და ერისთვის სრულიად უშიშარნი იყვნენ ისინი ამ მხრივ.

მწიგნობარი.

ნ ა რ ე ვ ი

საქორწილოდ ექიმის მოწმობები. დიდი ხანის კამათის შემდეგ ჩიკაგოს სასულიერო წოდებას დაუდგენია ამის იქით იმ პირთ, ვისაც ქორწინება უნდა, მოსთხოვოს ექიმის მოწმობები, რომ ისინი არ არიან ავად არავითარი გადამდები და სასიკვდილო სენით, და როგორც ფიზიკურად, აგრეთვე სულიერად ჯანსაღები არიან. ეს ზომები მიუღიათ როგორც თვით ჯვარის დამწერ პირთა სასარგებლოდ, ისე—მით უფრო ჩამომავლობის სასარგებლოდ.

— —

ზარმაცობის საწინააღმდეგო კანონი. ახლანდელ კალიფორნიაში მიუღიათ კანონი ზარმაც ოჯახის მამათა წინააღმდეგ. ეს კანონი ნებას აძლევს სასამართლოს ამ გვარი მამები იძულებით ამუშავოს, გზებისა და ქუჩების სისუფთავეს და მოწყობაზედ, ხოლო რაც ამ საშუშაოში მათ ფული ერგებათ, აძლევენ იმათ ოჯახების დედებს ხელში.

— —

დროს გაყიდვა. ერთს დარიბ კაცს ინგლისში სიკვდილის შემდეგ დარჩა ერთად ერთი ქალი, რომელსაც საცხოვრებელი საშუალება არაფერი ჰქონდა. ბევრი ფიქრის შემდეგ ამ ქალმა დაიწყო ვაჭრობა დროთი. ერთი მაჰისეული საათი აქვს, რომელიც შესაჩნევი სისწორით მუშობს. ეს ქალი სდგას ამ საათით ქუჩაში და გაშველულ-გამომველულს თავისს საათზედ აშინჯებს და ასწორებინებს საათებს. ჩვენში რომ ეოფილიუო ეს ქალი, ამ საათს აქამდე ათჯერ დააგირავებდა ლომბარდში.

რედაქტორ-გამომცემელი

რ. გაბაშვილი.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲮᲔᲮᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲡᲮᲕᲚᲐ

ს. ს. ხეთაგურის სანერგე

მსურველთ აწვდის გამოცდილ მებაღეებს ხეხილის გასასხვლელად. ცნობების მიმართვა შეიძლება წერილობით: თბილისი, ს. ს. ხეთაგურის სანერგე.

Тифлисъ питомники С. С. Хетагури.

1894 წლიდან **1913** წლამდის

საუკეთესო ღვინოდ ითვლება ღვინო

საზოგადოება „ᲙᲐᲮᲔᲗᲘ“-სა

ტელეფონი:
№ 73 და 3—51.

თბილისი: გოგოლის ქუჩა 63
და ერევნის მოედანი.

განყოფილებანი: ბაქოში, ასხაბადში, ტაშკენთში, მოსკოვში, ბათომში, რასტოვში და სხ.

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა ს. ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქუჩა № 5.